ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #67

ქ.თბილისი 25 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ შ.პ.ს **„ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ამური რევიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „გოლდმედი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **სოფიო ბერეკაშვილის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტისსაფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სამედიცინო მოწყობილობების (CPV კოდი: 33100000) გამარტივებული შესყიდვა **საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.**

1.2 საქონლის დეტალური აღწერა, რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლებლები და ღირებულება განსაზღვრულია N1 დანართით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 264,50 (ორასსამოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან სასაქონლო ზედნადების მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს ლოგისტიკის მენეჯერი- ლერი ყიფშიძე

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულიმიღება- ჩაბარების აქტის ან სასაქონლო ზედნადების დადასტურების შემდეგ.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს შემსყიდველი და მას ამოწმებენ მხარეები საქონლის მიწოდებისას.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას ქ.#7

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივნისამდე, მოთხოვნიდან (სატელეფონო შეკვეთიდან) 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრივალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში) მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

_____ _____

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებისპირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველადდადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 სექტემბრი ჩათვლით.

დამკვეთი

შ.პ.ს ვ. სანიკიძის სახელობის ვეტერანთა

კლინიკური ჰოსპიტალი

ქ.თბილისი, ს. კედიას ქ.#7

ს/კ 202054908

საბანკო რეკვიზიტები:

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა GE21TB7005336020100004

დირექტორი:

ამური რევიშვილი

V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd

Digitally signed by V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd
Date: 2023.05.25 13:39:26 +04'00'

მიმწოდებელი

შპს გოლდმედი
მის.: ქ. თბილისი, კათოლიკოსი აბრაჰამ 1 ის ქ. #26

ს/კ 2020455128

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი: საქართველოს ბნკი

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE04PC0313600100005028GEL

დირექტორი:

სოფიო ბერეკაშვილი

Sophio Berekashvili

Digitally signed by Sophio Berekashvili
Date: 2023.05.31 13:26:40 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 66 - ხელშეკრულების

დანართი N1

25 მაისი 2023 წელი

დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
ინფუზიური სისტემა	**25**	0,38	9,50
მაღალი წნევის დამაგრძელებელი (ინჯექტორის)	**300**	0,85	255
ჯამი			264,50

„შემსყიდველი“

შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი

ს/კ 202054908

დირექტორი: ამური რევიშვილი

V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd

Digitally signed by V.Sanikidze War Veterans Clinical Hospital ltd
Date: 2023.05.25 13:50:16 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „გოლდმედი“

ს/კ 202455128

დირექტორი: სოფიო ბერეკაშვილი

Sophio Berekashvili 60002004804

Digitally signed by Sophio Berekashvili
Date: 2023.05.31 13:23:46